

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 3 ივლისის სხდომის

ოქმი =31

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 19. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით – მომხსენებელი რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი;

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი: 2013 წლის 21 მაისის აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე მოხდა წინასწარი შეთანხმება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით კერძოდ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნის შესახებ. ვინაიდან უნივერსიტეტში მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის წინა საკონკურსო მზადება და მალევე ჩატარდება კონკურსიც, აუცილებელია უნივერსიტეტს ჰქონდეს მყარი სამართლებრივი სტატუსი

პროფ. დავით ჯაფარიძე: მივესალმები ამ იდეას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირის ფორმა უფრო მეტად წაადგება ჩვენს უნივერსიტეტს და იგი ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის 2013 წლის 3 ივლისის გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით.

აკადემიურმა საბჭომ და სენატმა ერთობლივად გადაწყვიტეს: 2013 წლის 21 მაისის აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებული სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე ეთხოვოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნის შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ.ქეთევან ქოქრაშვილი: მინდა თქვენს წინაშე წარმოვადგინო საკითხი, რომელიც ეხება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დამტკიცებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 3 ივლისის =31 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართლის საკონსულტაციო ბიუროს“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ივნისის დადგენილება №940 – მომხსენებელი პროფ. გია არაბიძე;

პროფ. გია არაბიძე : მოგახსენებთ, რომ ბიურო იქმნება თვითდაფინანსების პრინციპით და იგი ხელს შეუწყობს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. აგრეთვე, ცენტრი დაასაქმებს ჩვენი უნივერსიტეტის როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე სტუდენტებსაც.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 3 ივლისის =31 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკონსულტაციო ბიუროს“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ივნისის დადგენილება №940.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკონსულტაციო ბიუროს“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს საერთო თანასარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის შესახებ – მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე;

პროფ. ჯემალი გახოკიძე: საკითხი ეხება, იმ ფართის გაიჯარებას, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს თანასარგებლობაში სხვა სამ ორგანიზაციასთან ერთად. საუბარია კოსტავას ქუჩა №77-ში მდებარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული №2 შენობის სახურავზე (18 კვ.მ), ტელე მონიტორის განთავსების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილ საკითხე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 3 ივლისის =31 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საერთო თანასარგებლობაში არსებული სახურავის ფართობის იჯარით გაცემის საკითხი, კერძოდ: კოსტავას ქუჩა №77-ში მდებარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული №2 შენობის სახურავზე (18 კვ.მ) ტელე მონიტორის განთავსების თაობაზე.

სენატმა გადაწყვიტა: ზემოაღნიშნული საკითხი გადაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ფართის გაიჯარების და ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,
პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,
სტუდენტი

ბექა კოპაძე